

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №7

ქ.თბილისი
სხდომას ესწრებოდნენ:

23.12.2014

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

რევაზ აფხაზავა - ა(ა)იპ - კავშირი განათლების პოლიტიკის, მართვის და დაგეგმვის საერთაშორისო ინსტიტუტის (EPPM) აღმასრულებელი დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე; სხდომის თავმჯდომარე;

მაია მაღლაკელიძე - ა(ა)იპ - საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის წევრი, სხდომის მდივანი; თამარ ცირეკიძე - ა(ა)იპ - კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის მომსახურების დეპარტამენტის ხელმძღვანელი;

მანანა რატიანი - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ექსპერტ-კონსულტანტი;

პავლე თვალთაძე - ზოგადი განათლების ექსპერტი, შპს - განათლებისა და მართვის გუნდის დირექტორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ლაშა მარგიშვილი - ავტორიზაციის სამმართველოს უფროსი;

თამთა კობახიძე - ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორის მოვალეობის შემსრულებელი;

გიორგი მელიქაძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;

თამარ შენგელია - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი.

დაწესებულებების წარმომადგენლები:

გია მაისაშვილი - ა(ა)იპ - საგანმანათლებლო კვლევებისა და პროფესიული განვითარების ცენტრ - თავისუფალ სკოლის დირექტორი;

ნატო ზარნაძე - შპს ყოვლადწმინდა სამების სახელობის ქართული აკადემიის პროფესიული სწავლების განყოფილების უფროსი, დირექტორის მოადგილე.

გიორგი თევდორაშვილი - შპს ყოვლადწმინდა სამების სახელობის ქართული აკადემიის დირექტორის მოადგილე;

ნიკოლოზ სულხანიშვილი - შპს თელავის ევროპული სკოლის წარმომადგენელი;

დარეჯან მარგალიტაშვილი - შპს თელავის ევროპული სკოლის წარმომადგენელი;

მადლენა მახარაძე - შპს მრავალდარგობრივი გიმნაზია იბერიის დირექტორი;

შოთა ნიჟარაძე - შპს კავკასიის აკადემიის დირექტორი;

კახა შენგელია - შპს კავკასიის აკადემიის დამფუძნებელი;

ელენა თამაზაშვილი - შპს კავკასიის აკადემიის ხარისხის მართვის მენეჯერი;

ირმა თიკანაძე - შპს კავკასიის აკადემიის საბუნებისმეტყველო კათედრის ხელმძღვანელი;

მზია დოლიძე - შპს კავკასიის აკადემიის დაწყებითი საფეხურის კათედრის ხელმძღვანელი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):
მიხეილ ტეფნაძე;
ნინო ფეტვიაშვილი;
დავით ჭეიშვილი;
ნოდარ ანგურიძე.

თავმჯდომარემ გახსნა სხდომა 17:25 სთ-ზე, შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. აღნიშნული დებულების 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, სხდომას გაუძღვა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე - რევაზ აფხაზავა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს შეახსენა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. ა(ა)იპ - საგანმანათლებლო კვლევებისა და პროფესიული განვითარების ცენტრ - თავისუფალ სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. შპს რუსთველში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. შპს ცოდნა-ნათელა მურადაშვილში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. შპს ყოვლადწმიდა სამების სახელობის ქართული აკადემიისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა;
5. შპს მრავალდარგობრივ გიმნაზია იბერიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. შპს თელავის ევროპული სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7. შპს კავკასიის აკადემიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი. შესაბამისად, საბჭოს წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

ლაშა მარგიშვილმა აღნიშნა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვას, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 23-ე მუხლის 1² პუნქტის თანახმად, სხდომას დაესწრებოდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრი - მამია ჯანჯალია, რომელიც მონაწილეობას მიიღებდა შპს ყოვლადწმიდა სამების სახელობის ქართული აკადემიისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხის განხილვაში.

შპს კავკასიის აკადემიის დირექტორმა, შოთა ნიჟარაძემ საბჭოს წინაშე წარადგინა შუამდგომლობა, რომ შპს კავკასიის აკადემიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა მომხდარიყო დღის წესრიგის მეოთხე პუნქტად. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს და დამსწრე საზოგადოებას, წარმოდგენილ შუამდგომლობასთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ საწინააღმდეგო მოსაზრება. საწინააღმდეგო პოზიცია არავის არ ჰქონია.

შესაბამისად, საბჭოს წევრები ერთხმად დაეთანხმნენ წარმოდგენილ შუამდგომლობას და სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის ახალი დღის წესრიგი.

1. ა(ა)იპ - საგანმანათლებლო კვლევებისა და პროფესიული განვითარების ცენტრ - თავისუფალ სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. შპს რუსთველში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. შპს ცოდნა-ნათელა მურადაშვილში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. შპს კავკასიის აკადემიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.
5. შპს ყოვლადწმიდა სამების სახელობის ქართული აკადემიისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა;
6. შპს მრავალდარგობრივ გიმნაზია იბერიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7. შპს თელავის ევროპული სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

ავტორიზაციის სამმართველოს უფროსმა, ლაშა მარგიშვილმა საბჭოს განუცხადა, რომ ცენტრში 2014 წლის 23 დეკემბერს შემოსული იყო ა(ა)იპ - მესტიის წმინდა ილარიონ ქართველის სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის კორესპოდენცია (ცენტრში რეგისტრაციის №1032598), რომლითაც დაწესებულება საბჭოს აცნობებდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 23 ოქტომბრის სხდომაზე დაფიქსირებული უზუსტობის გასწორების შესახებ და აღნიშნავდა, რომ დაწესებულებამ მოახდინა საჯარო რეესტრში უძრავი ქონების შესაბამისი წესით რეგისტრაცია. საბჭოს წევრები გაეცნენ წარმოდგენილ კორესპოდენციას.

1. ა(ა)იპ - საგანმანათლებლო კვლევებისა და პროფესიული განვითარების ცენტრ - თავისუფალ სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა მიხეილ ტეფნაძემ. მან აღნიშნა, რომ მონიტორინგის საფუძველს წარმოადგენდა ფართის ცვლილება. ვიზიტის დროს დაწესებულება სხვა შენობაში გადასვლის პროცესში იმყოფებოდა, რის გამოც, დოკუმენტაციის შემოწმება ვერ მოხერხდა, თუმცა ვიზუალურმა დათვალიერებამ დაადასტურა ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა. ექსპერტის თქმით, დაწესებულებამ მოგვიანებით წარმოადგინა ცენტრში კორესპოდენცია (რეგისტრაციის №1029892), რის საფუძველზეც ირკვეოდა, რომ ხარვეზები გამოსწორებული იყო. მონიტორინგის ჯგუფმა ვიზიტის ფარგლებში ჩაატარა 3 სამუშაო შეხვედრა.

საბჭოს წევრი, თამარ ცირეკიძე დაინტერესდა, ყველა პუნქტი თუ იყო გამოსწორებული. რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ ყველა ხარვეზი გამოსწორებული იყო და არსებობდა ამის დამამტკიცებელი დოკუმენტები.

საბჭოს წევრი, მაია მალაქელიძე დაინტერესდა ბიბლიოთეკის საკითხით, რაზეც ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებაში გამოყოფილი იყო სივრცე ბიბლიოთეკისთვის, სკოლას ჰყავდა 49 მოსწავლე და ამ რაოდენობისთვის შესაძლებელი იყო ეფექტური ბიბლიოთეკის შექმნა. ექსპერტის თქმით, გრიფირებული სახელმძღვანელოების ფლობა არ დასტურდებოდა, თუმცა დაწესებულებამ მოგვიანებით წარადგინა ჩუქების აქტი.

საბჭოს წევრი, პავლე თვალთაშვილი დაინტერესდა დომენის ფლობის საკითხით, რადგან ამ ეტაპისათვის დაწესებულების ვებგვერდი არ მუშაობდა. აღნიშნულთან დაკავშირებით ექსპერტმა, განაცხადა რომ ორგანიზაციას წარმოდგენილი ჰქონდა შესაბამისი დოკუმენტაცია. მან აღნიშნა, რომ ვიზიტის შემდგომ განახლებული იყო ინფორმაცია და ავტორიზაციის გავლის შემდეგ დაწესებულებას არ მიუღია მოსწავლეები.

დაწესებულების წარმომადგენელმა, გია მაისაშვილმა განაცხადა, რომ ყველა დოკუმენტაცია წარმოდგენილი იყო, მათ შორის ვებგვერდის ფლობის და დამზადების დამადასტურებელი დოკუმენტები.

საბჭოს წევრმა, პავლე თვალთაშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტს ვიზიტის პერიოდში თუ იყო ვებგვერდი მწყობრში, რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ დოკუმენტაციის წარდგენისას ვებგვერდი მოქმედი იყო.

საბჭოს წევრმა, პავლე თვალთაშვილმა განაცხადა, რომ სასურველი იყო სამომავლოდ დაწესებულებას გაეთვალისწინებინა, რომ ყველა დოკუმენტი ყოფილიყო წარდგენილი საბჭოს სხდომაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის უარს განაცხადებდა განხილვაში მონაწილეობაზე.

თავმჯდომარემ, რევაზ აფხაზავამ აღნიშნა, რომ, ზოგადად დასაშვები იყო, ვებგვერდი თავად სკოლის წარმომადგენელსაც შეექმნა, რის გამოც არ იარსებებდა შესაბამისი დოკუმენტაცია და ამ შემთხვევაში მთავარი იქნებოდა ექსპერტის შეფასება, დადასტურება, რომ მან შეამოწმა

ვებგვერდი და ვიზუალურად ყველაფერი მწყობრში იყო, თუმცა აქვე დაამატა, რომ მიუხედავად ასეთი შენიშვნის არაარსებობისა, მსგავსი ხარვეზები თავიდან უნდა ყოფილიყო აცილებული.

საბჭოს წევრმა, პავლე თვალთშეშვითმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილების მისაღებად, საბჭოს წევრებს ხელთ წარმოდგენილი დოკუმენტების საბოლოო ვერსია უნდა ჰქონოდათ. მან აღნიშნა, რომ ორგანიზაციულად უნდა არსებულიყო მიღება-ჩაბარების აქტი, რომელიც ადასტურებდა ვებგვერდის შექმნის ოფიციალურობას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საგანმანათლებლო კვლევებისა და პროფესიული განვითარების ცენტრ - თავისუფალი სკოლისთვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება ა(ა)იპ - საგანმანათლებლო კვლევებისა და პროფესიული განვითარების ცენტრ - თავისუფალი სკოლის (ს/კ: 404854190) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.



2. შპს რუსთველში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

საბჭოს სხდომას არ ესწრებოდნენ დაწესებულების წარმომადგენლები. სხდომი თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ეცნობა თუ არა შპს რუსთველს კანონმდებლობით დადგენილი წესით 23 დეკემბერს ჩანიშნული ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ჩატარების თაობაზე. ლაშა მარგიშვილმა განმარტა, რომ ინფორმაცია ავტორიზაციის საბჭოს სხდომის 2014 წლის 23 დეკემბერს ჩატარების თაობაზე, კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოქვეყნებული იყო ცენტრის ვებგვერდზე და ასევე აღნიშნულის თაობაზე წერილობითაც ეცნობა შპს რუსთველს.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნის შინაარსის თანახმად დასტურდებოდა, რომ ყველა შენიშვნა იყო გამოსწორებული, შესაბამისად, მისი აზრით დაინტერესებული მხარის არ გამოცხადება არ აფერხებდა საკითხის განხილვას. აღნიშნული მოსაზრება გაიზიარეს საბჭოს სხვა წევრებმაც.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის ექსპერტთა დასკვნა ნინო წარადგინა ფეტვიაშვილმა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ამ ეტაპისთვის, დაწესებულებას ხარვეზები გამოსწორებული ჰქონდა და საბჭოს წევრებს წარუდგინა შესაბამისი დოკუმენტაცია (ცენტრში რეგისტრაციის №875894).

საბჭოს წევრმა, თამარ ცირეკიძემ თხოვნით მიმართა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლებს, რომ მსგავს შემთხვევებზე საბჭო წინასწარ ყოფილიყო ინფორმირებული და ცენტრს წინასწარ უზრუნველყო ხარვეზების გამოსწორების დამდასტურებელი დოკუმენტაციის მიწოდება საბჭოს წევრებისათვის.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს რუსთველისთვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს რუსთველის (ს/კ: 216392179) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

3. შპს ცოდნა-ნათელა მურადაშვილში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

საბჭოს სხდომას არ ესწრებოდნენ დაწესებულების წარმომადგენლები. სხდომი თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ეცნობა თუ არა შპს ცოდნა-ნათელა მურადაშვილს კანონმდებლობით დადგენილი წესით 23 დეკემბერს ჩანიშნული ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ჩატარების თაობაზე. ლაშა მარგიშვილმა განმარტა, რომ ინფორმაცია ავტორიზაციის საბჭოს სხდომის 2014 წლის 23 დეკემბერს ჩატარების თაობაზე, კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოქვეყნებული იყო ცენტრის ვებგვერდზე და ასევე აღნიშნულის თაობაზე წერილობითაც ეცნობა შპს ცოდნა-ნათელა მურადაშვილს.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნის მიხედვით, შენიშვნების ნაწილი იყო დაწესებულებას არ ჰქონდა გამოსწორებული და საჭირო იყო აღნიშნულის თაობაზე შპს ცოდნა-ნათელა მურადაშვილის წარმომადგენლების მოსაზრებებისა და პოზიციის მოსმენა. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარის მოსაზრებით, საკითხის სრულყოფილი და ყოველმხრივი განხილვისთვის საჭირო იყო, მისი განხილვა გადადებულიყო შემდეგი სხდომისთვის. ხარვეზების არსებობის ფაქტი დაადასტურა ასევე ექსპერტმა - დავით ჭეიშვილმა. საკითხის განხილვის გადადების პოზიცია გაიზიარეს საბჭოს სხვა წევრებმაც.

შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ცოდნა-ნათელა მურადაშვილში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვის მომდევნო სხდომისთვის გადადების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

საკითხის განხილვა გადაიდო მომდევნო სხდომისათვის.

გადაწყვეტილება:

გადაიდოს შპს ცოდნა-ნათელა მურადაშვილში (ს/კ: 209440121) განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა მომდევნო საბჭოს სხდომამდე.

4. შპს კავკასიის აკადემიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს წინაშე დასკვნა წარადგინეს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე - ნოდარ ანგურიძემ და ჯგუფის წევრმა თამთა კობახიძემ. მათ აღნიშნეს, რომ ვიზიტის პერიოდში გამოიკვეთა შემდეგი ხარვეზები, კერძოდ:

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა თემატურ კალენდარული გეგმები. სასწავლო პროგრამები ძირითადად მოიცავდა საგნის დასახელებას, სწავლების კლასს, პედაგოგსა და საკონტაქტო ინფორმაციას, კურსის ორგანიზების, მიზნებისა და შედეგების ნაწილს, შეფასებასა და კალენდარულ ცხრილს (თემა, რესურსი, შეფასება, მისაღწევი მიზანი სტანდარტის მიხედვით, საათების რაოდენობა). ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა, სპორტის (XI, XII) სასწავლო გეგმები. ვიზიტის პერიოდში დაწესებულების წარმომადგენლები აღნიშნულის შესახებ ინფორმირებულები იყვნენ ექსპერტთა ჯგუფის მიერ. წარმოდგენილ სასწავლო გეგმებში დაფიქსირდა შემდეგი უზუსტობები:

1.1.1 ქიმიის სასწავლო გეგმაში (VIII) მისაღწევი შედეგების ნაწილში დაფიქსირებულია სტანდარტის შედეგები შემდეგნაირად: VIII.6, VIII.7, VIII.8, VIII.9, VIII.10, VIII.11, VIII.12. ქიმიის სტანდარტი აღნიშნულ კლასში მოიცავდა მისაღწევ შედეგებს 1-დან 12 შედეგის ჩათვლით. ამ შემთხვევაში აღნიშნულ სასწავლო გეგმაში იგნორირებული იყო მეცნიერული კვლევა-ძიების მიმართულება (კვლ. VIII.1-ქიმ. VIII.5-მდე).

1.1.2 ანალოგიური ფიქსირდებოდა ქიმიის X კლასის სასწავლო გეგმაში. მისაღწევ შედეგებში იგნორირებული იყო მეცნიერული კვლევა-ძიების მიმართულება (კვლ. X.1- ქიმ. X.5-მდე). აღნიშნულ სასწავლო გეგმაში, სასწავლო რესურსების ნაწილში მითითებული იყო ლაბორატორია, ექსპერიმენტი, მაგრამ უნდა აღნიშნოს, რომ სტანდარტის მიმართულება - მეცნიერული კვლევა ძიება მოიცავს ისეთ თემებს, როგორცაა კვლევის საგნისა და კვლევის ეტაპების განსაზღვრა, კვლევითი პროცედურისა და მონაცემების აღრიცხვა, მონაცემთა შეფასება-ანალიზი და მათი წარმოდგენა სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებით.

1.1.3 ქიმიის სასწავლო გეგმაში (IX) რამოდენიმე თემას საერთო არ ჰქონდა მითითებული მისაღწევი შედეგები სტანდარტის მიხედვით.

1.1.4 ქიმიის სასწავლო გეგმაში (XI) პირველ სემესტრში მისაღწევ შედეგებში ქიმიის სტანდარტით გათვალისწინებული X კლასის შედეგები იყო ჩამოწერილი (მაგ: X.5 -X.12). აღნიშნული ვერ ჩაითვლებოდა ტექნიკურ ხარვეზად, რადგან ქიმიის სტანდარტს მე-11 კლასში მხოლოდ 5 მისაღწევი შედეგი ჰქონდა.

1.1.5 ბიოლოგიის სასწავლო გეგმა (X და XI) არ შეიცავდა თემატურად გაწერილ კალენდარულ გეგმას.

1.1.6 სამოქალაქო განათლების (X) კლასის თემატურ გეგმის „სტანდარტის“ გრაფაში მითითებული იყო მხოლოდ კლასის აღმნიშვნელი ციფრი და არა სტანდარტი.

აღნიშნულთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ VIII, IX, და X კლასის ქიმიის სასწავლო გეგმებში ადგილი ჰქონდა ტექნიკურ უზუსტობას და ექსპერტის შეფასება, თითქოს საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებული მეცნიერული კვლევა-ძიების მიმართულება იგნორირებული იყო, გადაჭარბებულ შეფასებას წარმოადგენდა. მან აღნიშნა, რომ სასწავლო პროგრამების შედგენის დროს მოხდა სტანდარტის კოდების არევა, რამაც გამოიწვია აღნიშნული უზუსტობა. მან ასევე დაამატა, რომ დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა კვლევითი აქტივობის შეფასების რუბრიკები, რომელიც ასახული იყო სასკოლო სასწავლო გეგმაში, რაც ადასტურებდა იმ გარემოებას, რომ ექსპერტის მიერ დაფიქსირებული ხარვეზები ტექნიკურ უზუსტობას წარმოადგენდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, საბუნებისმეტყველო კათედრის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ XI კლასის ქიმიის სასწავლო პროგრამის პირველ სემესტრში მოხდა X კლასის სტანდარტის შედეგების გადატანა, რადგან მეათე კლასში ქიმიისათვის განკუთვნილი საათობრივი დატვირთვის ფარგლებში ვერ ხდებოდა სტანდარტის შედეგების სრული მიღწევა. შესაბამისად, რეკომენდირებული იყო აღნიშნული შედეგების მიღება მომდევნო კლასის პირველ სემესტრში. მან დაამატა, რომ მსგავს რეკომენდაციას ქიმიის საგნის მიმართულებით მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრიც აკეთებდა და ანალოგიური იყო მასწავლებლისათვის განკუთვნილ სახელმძღვანელოში.

თამთა კობახიძემ აღნიშნა, რომ ვიზიტის პერიოდში ექსპერტებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხზე და მეტი სიცხადისთვის გაეცნენ მეათე და მეთერთმეტე კლასის სახელმძღვანელოებს. ექსპერტმა დაამატა, რომ მეათე კლასის შედეგების მეთერთმეტე კლასში მიღწევის ფაქტი სახელმძღვანელოებში არ ფიქსირდებოდა და აღნიშნა, რომ ამით იქმნებოდა საფრთხე, რომ მეთერთმეტე კლასის მოსწავლეები დარჩენილ ერთ სემესტრში ვერ მოახერხებდნენ მეთერთმეტე კლასისათვის გათვალისწინებული შედეგების მიღწევას.

აღნიშნულთან დაკავშირებით სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ თუ მსგავსი უზუსტობა იყო სტანდარტსა და ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საათობრივ დატვირთვის შორის, აუცილებელი იყო შესაბამის უწყებებს ამ საკითხთან დაკავშირებით მიეღოთ სათანადო ზომები.

2. სასკოლო სასწავლო გეგმაში განსაზღვრული იყო მოსწავლეთა შეფასების სისტემა ეროვნულ საწავლო გეგმაზე დაყრდნობით. დაწესებულებაში გამოიყენებოდა ორი ტიპის შეფასება - განმსაზღვრელი და განმავითარებელი. განმსაზღვრელი შეფასების ქულათა სახეობები იყო - საგნის მიმდინარე და შემაჯამებელი, საგნის სემესტრული, საგნის წლიური, საერთო წლიური და საფეხურის საერთო ქულა. საერთო წლიური ქულის დაანგარიშების წესი დაწესებულებას განსაზღვრული არ ჰქონდა, განსაზღვრებით სხვა ქულათა სახეობებიდან. სასკოლო სასწავლო გეგმაში განსაზღვრული იყო, რომ მოსწავლეები ფასდებოდნენ სამი კომპონენტის მიხედვით: საკლასო, საშინაო და შემაჯამებელი დავალება. ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად, დაწყებით საფეხურზე შემაჯამებელი დავალებები გათვალისწინებული არ არის. აღნიშნული წესი დარღვეული იყო დაწყებითი საფეხურის ყველა სასწავლო გეგმასთან მიმართებით (გარდა ინგლისური ენისა და სპორტისა). შემაჯამებელი დავალება ამ შემთხვევაში არ შეიძლებოდა ყოფილიყო განმარტებული როგორც მხოლოდ კონკრეტული თავის გავლის შემდეგ ცოდნის შეჯამება, რადგან დაწესებულებას საკუთარი რეგულაციით განმარტავდა რას გულისხმობდა შემაჯამებელი დავალება. სასკოლო სასწავლო გეგმის „მოსწავლეთა შეფასების სისტემის“ ნაწილში განსაზღვრული იყო, რომ შემაჯამებელი დავალების კომპონენტში გამოიყენებოდა მხოლოდ განმსაზღვრელი შეფასება და იწერებოდა ნიშანი.

აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სასკოლო სასწავლო გეგმაში, შემუშავების შემდეგ დარჩა ჩანაწერი „საერთო წლიური ქულა“, რაც ტექნიკურ ხარვეზს წარმოადგენდა.

2.1 ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად, დაწყებით საფეხურზე მოსწავლეები ფასდებიან მხოლოდ განმავითარებელი შეფასებით. აღნიშნული მითითებული ჰქონდა სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმაში, თუმცა წესი დარღვეული იყო დაწყებით საფეხურზე ყველა სასწავლო გეგმაში (გარდა ინგლისური ენისა და სპორტისა). დაწესებულების წარმომადგენლებმა წარმოადგინეს თემატურ-კალენდარული გეგმების გასწორებული ვარიანტი, თუმცა აღნიშნული ხარვეზი კვლავ ფიქსირდებოდა შემდეგ სასწავლო გეგმებში. კერძოდ,

2.1.1 შესავალ ნაწილში - მათემატიკა (I; II; IV); ქართული ენა (II, III, IV); ბუნებისმეტყველება (I, II, III, IV);

2.1.2 როგორც შესავალ, ასევე კალენდარულ სქემაში: მათემატიკა (III); ქართული ენა (I);

2.1.3 კალენდარულ გეგმაში - სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება (III); სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება (IV); მუსიკა (I,II,III,IV).

აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სილაბუსების შექმნის პროცესში მოხდა ტექნიკური უზუსტობა, და ის ფაქტი, რომ დაწყებით საფეხურზე განმსაზღვრელი შეფასება არ იწერება, კარგად იყო ცნობილი დაწესებულების წარმომადგენლებისათვის.

თამთა კობახიძემ განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების წარმომადგენლებს საშუალება მისცეს გამოსწორებინა ტექნიკური ხასიათის ხარვეზები ვიზიტის პერიოდში, თუმცა დაწყებითი საფეხურის სასწავლო გეგმების შესწორებულ ვარიანტში მაინც იკითხებოდა ჩანაწერები განმსაზღვრელი შეფასების შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეთანხმებოდა ექსპერტს იმ ნაწილში, რომ სასწავლო პროგრამებში ფიქსირდებოდა მსგავსი ჩანაწერი, და დაამატა, რომ ეს მხოლოდ ტექნიკური ხასიათის უზუსტობა იყო.

საბჭოს წევრმა თამარ ცირეკიძემ მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს საგანმანათლებლო პროგრამების ნაწილის მსგავსი დეტალური შეფასებისა და აღწერისათვის.

საბჭოს წევრმა, პავლე თვალთაშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს და აღნიშნა, რომ მან დაათვალიერა დაწესებულების ვებგვერდი და დაინტერესდა თუ როგორ შეფასებოდნენ დაწყებით საფეხურზე მოსწავლეები, რადგან ვებგვერდზე განთავსებული იყო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ისინი მიიღებდნენ პირობით განმავითარებელ სიმბოლოებს. პავლე თვალთაშვილმა ასევე დაამატა, რომ პირობითი სიმბოლოები, თუ მათ ექნებოდათ გრადაცია, ასევე წარმოადგენდა განმსაზღვრელ შეფასებას.

თამთა კობახიძემ აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფმა ჩაატარა ფოკუს ჯგუფი და ინტერვიუები, სადაც დაწესებულების წარმომადგენლები ასევე აფიქსირდებდნენ მსგავს მოსაზრებას პირობით სიმბოლოებთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დაწყებითი საფეხურის კათედრის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ დაწესებულება არ აპირებდა პირობითი სიმბოლოების გამოყენებას გრადაციის მიხედვით. მისი განმარტებით აღნიშნული იქნებოდა მოსწავლეთა მოტივაციის ასამაღლებლად. მან ასევე დაამატა, რომ აღნიშნული დაკონკრეტდებოდა, უფრო ნათელი გახდებოდა და აიტვირთებოდა დაწესებულების საიტზე.

თამთა კობახიძემ აღნიშნა, რომ ვიზიტის პირველ დღეს მოხდა დაწესებულების ფაქტობრივი მდგომარეობის ზოგადი შეფასება და არსებული ხარვეზების შესახებ მითითება. ვიზიტის ბოლომდე ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა გამოსწორებული ხარვეზები და დასკვნაში მოხდა იმ ფაქტობრივი გარემოებების ასახვა, რომელიც ვიზიტის დროს არ გამოსწორებულა.

საბჭოს წევრმა, თამარ ცირეკიძემ კითხვით მიმართა ექსპერტს და სთხოვა განემარტა შემაჯამებელ შეფასებასთან დაკავშირებული საკითხი, რაზეც თამთა კობახიძემ აღნიშნა, რომ დაწყებით საფეხურზე ეროვნული სასწავლო გეგმა შემაჯამებელ დავალებებს არ ითვალისწინებს. აღნიშნული წესი დაწესებულებას დარღვეული ჰქონდა დაწყებითი საფეხურის გარკვეულ სასწავლო პროგრამებში. ამავდროულად, სასკოლო სასწავლო გეგმის თანახმად დაწესებულება განსაზღვრავდა შემაჯამებელი დავალების ტიპს და აღნიშნავდა, რომ ყველა შემაჯამებელი ფასებოდა განმსაზღვრელი შეფასებით.

საბჭოს წევრმა, მანანა რატიანმა კითხვით მიმართა ექსპერტს, ჰქონდა თუ არა დაწესებულებას შემუშავებული შეფასების რუბრიკები, რაზეც ექსპერტმა აღნიშნა, რომ მსგავსი რამ სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილს წარმოადგენდა, თუმცა სასურველი იქნებოდა შეფასების კრიტერიუმები უფრო გამჭვირვალე და კონკრეტული ყოფილიყო.

3. დაწესებულებას მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ერვნული ცენტრისაგან გაზიარებული ჰქონდა სასწავლო პროცესის მონიტორინგის განხორციელებისათვის შეფასებისა და თვითშეფასების ფორმები, რომლებიც მოიცავდა გაკვეთილის, ადმინისტრაციის, კათედრის, კათედრის ხელმძღვანელის, მასწავლებლების, გაკვეთილის მონიტორინგის, შეფასებისა და თვითშეფასების სხვადასხვა ფორმებს. დაწესებულებაში არსებობს ხარისხის მართვის მენეჯერის დებულება, რომელიც წარმოადგენს მისი ფუნქცია-მოვალეობების აღწერას. არსებობს პროგრამების განვითარების დეპარტამენტი. მათი ფუნქციები აღწერილია დაწესებულების დებულებაში. სასკოლო გეგმის შეფასების პროცესის აღწერა არ ფიქსირდება. რა სიხშირით ხდება აღნიშნული შეფასებები, როგორ მოხდება მონაცემების ანალიზი და შემდგომი გამოყენება სასკოლო სასწავლო გეგმის შემდგომი გაუმჯობესებისათვის ბუნდოვანია.

აღნიშნულთან დაკავშირებით, თამთა კობახიძემ განაცხადა, რომ ვიზიტის დროს ექსპერტებმა ჩაატარეს ფოკუს ჯგუფი და ინტერვიუები, საიდანაც გამოიკვეთა, რომ დაწესებულებას სასწავლო პროგრამების შემუშავების საკმაოდ რთული სტრუქტურა ჰქონდა. აქედან გამომდინარე, ექსპერტებისათვის გაუგებარი იყო, მრავალმხრივი პროცედურების გავლის შემდეგ, მაინც რატომ მოხდა სასწავლო პროგრამებში მსგავსი ხასიათის ხარვეზების დაშვება. ექსპერტმა დაამატა, რომ აღნიშნული მიუთითებდა დაწესებულებაში ხარისხის მართვის სამსახურისა და შიდა მონიტორინგის სისტემის სისუსტეზე.

აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულების ხარისხის მართვის მენეჯერმა განაცხადა, რომ დაწესებულებას ჰქონდა პროცესის შეფასების მრავალმხრივი ფორმები. ხოლო ის, თ რა სიხშირით მოხდებოდა შეფასება დაზუსტდებოდა უშუალოდ სასწავლო პროცესის დაწყების შემდეგ. მან ასევე დაამატა, რომ ხარისხის მართვის მენეჯერის დებულებაში იყო სათანადო აღწერილობა, რაც განსაზღვრავდა დაწესებულებაში ხარისხის მართვის სამსახურის ფუნქციონირებას და დაწესებულებას საკუთარი სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებშიც ჰქონდა ასახული სასწავლო პროცესის შეფასებისა და განვითარებისკენ მიმართული ღონისძიებების დაგეგმვა.

საბჭოს თავმჯდომარემ, რევაზ აფხაზავამ აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანი იყო დაწესებულებას გააზრებული ჰქონოდა პროცესი და მისი დაგეგმვა არ მომხდარიყო ფორმალურად.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

2.1 ვიზიტის პერიოდში ბიბლიოთეკა ორგანიზების პროცესში იმყოფებოდა. დაწესებულებას შემენილი ჰქონდა მხატრული ლიტერატურა და სასკოლო სახელმძღვანელოები. წიგნები დამუშავებული იყო საბიბლიოთეკო წესით (ბეჭდებითა და საინვენტარო ნომრებით) და საინვენტარო წიგნში გატარებული იყო 569 ერთეული. ვიზიტის პერიოდში დაწესებულება აპირებდა ელექტრონული საბიბლიოთეკო პროგრამის გამოყენებას, ამ მიზეზით წიგნები ჯერ სისტემატიზირებული არ იყო და არ ჰქონდა ჯიბაკები.

2.2 სკოლისთვის განკუთვნილ ფართში, მეხუთე სართულზე, ასვლა შესაძლებელი იყო კიბით და სამგზავრო ლიფტით. ამის გარდა ამ სართულზე ამოდიოდა სატვირთო ლიფტიც, რომლის კარი, ლიფტის არ ყოფნის შემთხვევაშიც იღებოდა და წარმოიშვებოდა ადამიანის, ლიფტის შახტაში, ჩავარდნის საშიშროება. დაწესებულებამ, ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში, აღნიშნული კარი დაგმანა (სარჭებით იატაკში), თუმცა უსაფრთხოების თვალსაზრისით, მაინც სუსტ წერტილად დარჩა.

აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პრობლემა აღმოფხვრილი იყო და მოსწავლეთა უსაფრთხოებასთან დაკავშირებული კითხვის ნიშნები აღარ არსებობდა.

3. ადამიანურ რესურსთან მიმართებით:

3.1 თანამშრომელთა შერჩევის, მიღების და სამსახურიდან განთავისუფლების წესები გათვალისწინებული იყო სკოლის შინაგანაწესის მე-3 და მე-6 მუხლებით. მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვაკანსიები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები და საბუთების მიღების ვადები განისაზღვრებოდა დირექტორის ბრძანებით, შერჩეული პირები გასაუბრებას გადიოდნენ სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ კომისიასთან ვიზიტის დროს დირექტორის ბრძანებები, კონკურსის გამოცხადებისა და საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ წარმოდგენილი ვერ იქნა.

აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ბრძანებები ექსპერტს წარმოუდგინეს, თუმცა დასკვნაში ტექნიკური ხარვეზი იყო და აღნიშნულის დაფიქსირება ვერ მოხდა.

3.2 დაწესებულებას ყველა პედაგოგთან და ადმინისტრაციულ პერსონალთან გაფორმებული ჰქონდა შრომითი ხელშეკრულება, მასში განსაზღვრული იყო: ხელშეკრულების ვადა, დამსაქმებლისა და დასაქმებულის უფლებები და მოვალეობები, სამუშაო დრო, ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები, მხარეთა პასუხის-მგებლობა და სხვა. საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის მე-6 მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული „შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობები“ ასევე გათვალისწინებული იყო დაწესებულების შინაგანაწესით, თუმცა, არც ერთ მათგანში არ ფიქსირდებოდა გაწერილი სამუშაო ადგილი და ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი.

ექსპერტმა ნოდარ ანგურიძემ განაცხადა, რომ აღნიშნული ფაქტი მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენდა, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ იურისტებთან კონსულტაციის შედეგად მათ აღნიშნული გარემოება გაითვალისწინეს. მისი აზრით ეს არ წარმოადგენდა არსებით ხარვეზს.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, დაწესებულება რა კუთხით იყო დაკავშირებული კავკასიის უნივერსიტეტთან, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ამ ორ დაწესებულებას ერთი და იგივე დამფუძნებლები გააჩნდათ.

თამთა კობახიძემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს და აღნიშნა, რომ დაწესებულება მდებარეობდა შპს კავკასიის უნივერსიტეტის შენობის მეხუთე სართულზე. იგი დაინტერესდა რამდენად მოახერხებდნენ მოსწავლეები გადაადგილებას სართულებზე იმ ფონზე, როდესაც უნივერსიტეტის ლიფტები სტუდენტებს ემსახურებოდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ერთი ლიფტი მოემსახურებოდა მხოლოდ სკოლას და მოსწავლეებს, ხოლო შენობაში არსებული დანარჩენი ლიფტები მოემსახურებოდნენ როგორც უნივერსიტეტს, ასევე სკოლას. მან აღნიშნა, რომ დაწესებულების სურვილი იყო მიეღო 265 მოსწავლე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კავკასიის აკადემიის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 265-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს კავკასიის აკადემიას (ს/კ: 405066020) 5 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 265-ით.

სხდმოაზე გამოცხადდა შესვენება, 18:55 ზე.

სხდომა განახლდა 19:05 ზე.



5. შპს ყოვლადწმიდა სამების სახელობის ქართული აკადემიისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტმა ნინო ფეტვიაშვილმა. მან აღნიშნა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება უკვე ახორციელებდა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს და ამჯერად სურდა დამატებინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. მან აღნიშნა, რომ დასკვნაში არსებითი ხარვეზები არ იყო წარმოდგენილი და დაამატა, რომ ტექნიკური უზუსტობები დაწესებულებამ ადგილზე გამოსწორა.

მამია ჯანჯალია დაინტერესდა როგორ პირებდა დაწესებულება აღნიშნული პროგრამის განხორციელებას მაშინ, როდესაც სულ 18 კომპიუტერი გააჩნდა, რომლითაც ასევე სარგებლობდა სკოლის ადმინისტრაცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ამ ეტაპზე მათ მფლობელობაში 20 კომპიუტერი იყო და გააჩნდათ შესაბამისი მატერიალური და ადამიანური რესურსი პროგრამის განხორციელებისათვის.

მამია ჯანჯალიამ რეკომენდაციით მიმართა დაწესებულებას პროფესიული პროგრამის დამატების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტებისათვის ესწავლებინათ ტექნიკური ინგლისური, რადგან პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, აღნიშნული აუცილებლობას წარმოადგენდა და შესაძლებელი იყო ზოგადი ინგლისურის სწავლებას შესაბამისი შედეგები ვერ გამოეღო.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ნაწილობრივ გაითვალისწინებდა რეკომენდაციას, რადგან მისი მოსაზრებით მნიშვნელოვანი იყო ზოგადი ინგლისურის სწავლებაც პროფესიული სტუდენტებისათვის, რათა ისინი გასულიყვენ შესაბამის სწავლის შედეგზე.

მამია ჯანჯალია დაინტერესდა, აპირებდა თუ არა დაწესებულება თანამშრომლობას სხვადასხვა კოლეჯებთან, რადგან ამ ეტაპზე მას შესაბამისი დოკუმენტი გაფორმებული ჰქონდა მხოლოდ ერთ დაწესებულებასთან, რაც ქმნიდა საფრთხეს, რომ დაწესებულებას ფორსმაჟორულ სიტუაციების არსებობის შემთხვევაში დაზარალებულიყვენ სტუდენტები.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამის დამატების შემთხვევაში გაითვალისწინებდნენ აღნიშნულ რეკომენდაციას.

მამია ჯანჯალიამ აღნიშნა, რომ სასურველი იქნებოდა თუ დაწესებულება პრაქტიკული და თეორიული კომპონენტების ხვედრით წილს გაათანაბრებდა პროგრამაში. მან ასევე დაამატა, რომ სასურველი იყო წიგნებისათვის ელექტრონული პროგრამა ყოფილიყო დაწესებულებაში.

საბჭოს წევრმა, მამია მალაკელიძემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, სარგებლობდნენ თუ არა ბიბლიოთეკის ელექტრონული სისტემით, რაზეც დაწესებულების

წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შესაბამისი პროგრამა შექმნილი ჰქონდათ, თუმცა საიტზე არ იყო განთავსებული.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ყოვლადწმიდა სამების სახელობის ქართული აკადემიისთვის ინფორმაციული ტექნოლოგის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს ყოვლადწმიდა სამების სახელობის ქართულ აკადემიას (ს/კ: 202065068) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:

| № | პროგრამის დასახელება | პროფესიული განათლების საფეხური | მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია | კრედიტების რაოდენობა |
|---|---|--------------------------------|--|----------------------|
| 1 | ინფორმაციული ტექნოლოგის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა | მესამე | ინფორმაციული ტექნოლოგის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია | 35 |

6. შპს მრავალდარგობრივ გიმნაზია იბერიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს წინაშე დასკვნა წარადგინა გიორგი მელიქაძემ მან განაცხადა, რომ დაკვნაში დაფიქსირებული იყო ხარვეზები, კერძოდ:

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 სკოლას არ ჰქონდა უფლება საშუალო საფეხურზე სასწავლო პროცესის განხორციელებისა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მე10 კლასში ჰყავდათ 5 მოსწავლე, რომლებმაც საბაზო საფეხურის დასრულების შემდეგ სწავლის გაგრძელება ამავე სკოლა-გიმნაზიაში გააგრძელეს, რაც კანონმდებლობის დარღვევა იყო. დირექციის განცხადებით, საბაზო საფეხურის მოსწავლეები მობილობის წესით აუცილებლად გადავიდოდნენ საჯარო სკოლაში.

1.2 სკოლას არ ჰქონდა შექმნილი შემდეგი სახელმძღვანელოები: მე-10-მე-11 კლ. ბიოლოგია, ქანთარია; მე-11 კლ. - სამოქალაქო, ტალახაძე; მე- 11 - მათემატიკა, ჯაფარიძე; მე-11 - ინგლისური, მაკმილანი.

1.3 სპორტის სახეობებიდან შერჩეული ჰქონდა ჭადრაკი, მაგიდის ჩოგბურთი, მინი-ფეხბურთი. სასწავლო პროგრამების დათვალიერების დროს აღმოჩნდა, რომ არცერთი პროგრამა სკოლას არ ჰქონდა შემუშავებული. ამასთანავე, სკოლას სპორტის სახეობებიდან შერჩეული ჰქონდა მინი-ფეხბურთი, ხოლო ბათუმის სასპორტო სკოლასთან გაფორმებული - ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებდა კალათბურთის მეცადინეობების ჩატარებას. უნდა აღინიშნოს, რომ ხელშეკრულების პირობების თანახმად, სკოლა-გიმნაზიას დარბაზის გამოყენების უფლება ჰქონდა კვირაში მხოლოდ ერთი დღე, პარასკევს, 12:20-დან 15:05-მდე, ხოლო ვადა ამ დარბაზით სარგებლობის განისაზღვრება ამა წლის 6 ნოემბრიდან 31 დეკემბრამდე.

1.4 პროგრამების დათვალიერების დროს აღმოჩნდა, რომ დაწყებითი საფეხურის 1-4 კლასებში სკოლაში მოქმედებდა განმსაზღვრელი შეფასების სისტემა, რაც არ შეესაბამებოდა ეროვნულ სასწავლო გეგმას. ვიზიტის დროს ხარვეზი აღმოიფხვრა.

1.5 სადამრიგებლო პროგრამების დათვალიერებისას აღმოჩნდა, რომ მე5-მე6 და მე11-მე12 კლასების სადამრიგებლო პროგრამები არ იყო შემუშავებული.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

2.1 დაწესებულებას არ გააჩნია სპორტული დარბაზი, აუზი ან სპორტული მოედანი. მაგიდის ჩოგბურთის მაგიდა სკოლას გათავსებული ჰქონდა ოთახში, რომლის ერთი მხარე გადიოდა შენობის კიბის ნაწილზე და არ იყო გამიჯნული კედლით, კიბის ნაწილი კი მეზობელ ეზოს ესაზღვრებოდა და ცალი მხრიდან ღია იყო. ჭადრაკის დაფები (სულ - 4 ცალი) სკოლას განთავსებული ჰქონდა აღნიშნული სივრცის მომიჯნავე, გამავალი ტიპის ოთახში, რომელიც ასევე სპორტული აქტივობისთვის და პერიოდულად სხდომებისთვისაც გამოიყენებოდა. ვიზიტის მიმდინარეობის დროს, ჩოგბურთის მაგიდაც აღნიშნულ ოთახში იქნა გადატანილი.

2.2 სკოლას გაფორმებული ჰქონდა თხოვნების ხელშეკრულება №1 საჯარო სკოლასთან სპორტული დარბაზის თხოვნის შესახებ. დაწესებულებას არ წარმოუდგენია განათლების და მეცნიერების ან ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს თანხმობის/ნებართვის დოკუმენტი საჯარო სკოლის სასწავლო ფართის სარგებლობის თაობაზე. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ფარგლებში, სკოლამ წარმოადგინა ახალი ხელშეკრულება ა(ა)იპ „ქ. ბათუმის სასპორტო სკოლასთან“. ხელშეკრულების მიხედვით, „2014 წლის 6 ნოემბრიდან 31 დეკემბრამდე შპს მრავალდარგობრივი გიმნაზია იბერია სკოლის კალათბურთის მცირე დარბაზში ჩაატარებდა მეცადინეობებს კალათბურთის სახეობაში, რომლის ჩატარების ხელშეწყობის მიზნით, „შემსრულებელი“ იღებდა ვალდებულებას უზრუნველყო „დამკვეთი“ კომუნალური, ტექნიკური და მომსახურე პერსონალით“. ხელშეკრულების მიხედვით, „დამკვეთს“ დარბაზი დაეთმოზოდა პარასკევ დღეს, 12:20 სთ-დან 15:05 სთ-მდე.

2.3 სკოლას არ გააჩნდა ცალკე ლაბორატორიისთვის გამოყოფილი ოთახი - ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის ლაბორატორიის აღჭურვილობა განთავსებული იყო საკლასო ოთახებში, სადაც ჩვეულებრივ ტარდებოდა გაკვეთილები. აღნიშნულ საკლასო ოთახებში არ იყო სველი წერტილი და გამწოვი.

2.4 სკოლის დირექტორთან გასაუბრების შედეგად მიღებული ინფორმაციის მიხედვით დადგინდა, რომ სკოლას ელექტრო ენერგიით უზრუნველყოფდა „ენერგო-პრო ჯორჯია“, თუმცა დაწესებულებას არ წარმოუდგენია კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულება ან თუნდაც ბოლო თვის საგადახდო დავალება. სკოლის დირექტორის განმარტებით, ელექტრო ენერგიის გადასახადს, ჩვეულებრივ, თავად მეიჯარე იხდიდა. ზემოაღნიშნულის ანალოგიური სიტუაცია იყო დაწესებულებაში ინტერნეტ უზრუნველყოფასთან დაკავშირებითაც.

2.5 სკოლა არ იყო უზრუნველყოფილი ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემით. სკოლას არ გააჩნია ელექტრო ენერგიის მიწოდების ალტერნატიული წყაროები. აღნიშნული მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც სკოლის გათბობა დამოკიდებულია ელექტრო ენერგიის უწყვეტობაზე - სკოლა გათბობისთვის ელექტრო გამათბობლებს იყენებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ელექტრო გამათბობლები სკოლას ყველა საკლასო ოთახში არ გააჩნდა - სულ, ადგილზე წარმოდგენილ იქნა 7 ერთეული, რომელთა ფლობასაც დაწესებულება ადასტურებს.

2.6 სკოლის ბიბლიოთეკა განთავსებული იყო შენობის მეორე (სკოლის პირველ) სართულზე, 11.09 კვ.მ. ფართობის ოთახში. ოთახის დიდ ნაწილს იკავებდა მის ცენტრში განთავსებული, გრძელი მაგიდა, რომელიც გამოიყენებოდა სამკითხველოდ და რომელზეც ასევე მოთავსებული იყო სამი პერსონალური კომპიუტერი (ისტ-ის გაკვეთილებისთვის და კომპიუტერული კლასისთვის განკუთვნილი). ოთახის ერთ კედელს იკავებდა თაროები. სკოლა ისტ-ის გაკვეთილებისთვის ბიბლიოთეკის ოთახს იყენებდა, როგორც კომპიუტერულ კლასს. აქვე, ბიბლიოთეკის სამუშაო საათები ემთხვეოდა საგაკვეთილო ცხრილით გათვალისწინებულ ისტ-ის გაკვეთილებს. ბიბლიოთეკაში განთავსებული წიგნები დამუშავებული იყო საბიბლიოთეკო წესით, თუმცა არ იყო გატარებული აღრიცხვის ჟურნალში. დაწესებულებას ჰყავდა ბიბლიოთეკარი, რომელთანაც გაფორმებული იყო ხელშეკრულება, თუმცა, ვიზიტის დროს, ბიბლიოთეკარის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, დირექტორმა გამოსცა ბრძანება სკოლის ერთერთი მასწავლებლის ბიბლიოთეკარად დროებით დანიშვნის შესახებ. საბიბლიოთეკო აღრიცხვის ჟურნალის მოუმზადებლობის მიზეზად სწორედ აღნიშნული გარემოება დასახელდა.

2.7 სკოლას არ გააჩნდა ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის. ერთერთ სველ წერტილზე იყო ხელჩასაჭიდი საყრდენი, თუმცა სველ წერტილზე შესასვლელი საკმაოდ ვიწრო იყო ეტლისთვის. ექსპერტთა ჯგუფს არ ჰქონია საშუალება ვიზუალურად ენახა მოძრავი პანდუსები, რომლის მხოლოდ ფოტოსურათი იქნა წარმოდგენილი (აღნიშნულ ფოტოზეც, წარმოდგენილი იყო მხოლოდ ცენტრალური

შესასვლელისთვის განკუთვნილი პანდუსები). დირექტორის განმარტებით, პანდუსები სკოლისგან მოშორებით, საწყობში ინახებოდა.

2.8 უსაფრთხოების კამერების პროგრამული უზრუნველყოფა დაყენებული იყო სკოლის დირექტორის ოთახში განთავსებულ კომპიუტერზე, რომელიც სხვა საქმიანობისთვისაც გამოიყენებოდა, შესაბამისად, სკოლის ვიდეომეთვალყურეობა არ მიმდინარეობდა უწყვეტ პირდაპირ რეჟიმში. 2 გარე კამერა აკონტროლებდა სკოლის შემოსასვლელის მიმდებარე ტერიტორიას, ერთი - სკოლის მთავარ შესასვლელს, ერთი - ფოიეს, ერთი კი მეორე სართულზე ამოსასვლელ კიბეს, რომლის ხედვის არეშიც ნაწილობრივ ექცევა მეორე სართულის დია, დერეფნის ტიპის ფართი - კამერა ვერ აკონტროლებს საკლასო ოთახებისკენ გასასვლელ მცირე დერეფანს.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა რომ მოსწავლეები ამ ეტაპზე უკვე გადავიდნენ საჯარო სკოლაში და წარმოადგინა შესაბამისი დოკუმენტაცია. სადამრიგებლო პროგრამასა და სპორტის პროგრამაზე შემუშავებულ იქნა შესაბამისი სილაბუსები და წარმოადგინა ხარვეზების გამოსწორების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რომელთა ნაწილის შესწავლაც საბჭოს წევრებმა მოახდინეს ადგილზე.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ ბიბლიოთეკის ფართით (60 მოსწავლეზე 11 კვ.მ) და აღნიშნეს რომ ძალიან პატარა იყო, ასევე მცირე იყო ლიტერატურის რაოდენობაც.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას სურდა მოეპოვებინა ავტორიზაცია სამივე საფეხურზე, ამ ეტაპზე ახორციელებდა დაწყებით და საბაზო საფეხურებს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში რამდენ მოსწავლით უნდა განსაზღვრულიყო მოსწავლეთა მაქსიმალური კონტინგენტი. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას შეეძლო მომსახურება გაეწია 150 მოსწავლისათვის, რაზეც გიორი მელიქაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებას ჰქონდა 108 მერხი და 91 სკამი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს მრავალდარგობრივ გიმნაზია იბერიის ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 4

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირა - მათა მალაქელიძემ.

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს მრავალდარგობრივ გიმნაზია იბერიას (ს/კ: 245437772) 5 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 90-ით.

7. შპს თელავის ევროპული სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს წინაშე დასკვნა წარადგინეს ავტორიზაციის ექსპერტებმა - დავით ჭეიშვილმა და გიორგი მელიქაძემ. დავით ჭეიშვილმა აღნიშნა, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაწესებულების მისიასთან დაკავშირებით ტექნიკური ხარვეზი იყო დაშვებული ექსპერტთა მიერ და დაამატა, რომ დასკვნაში არასწორი ჩანაწერი იყო. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვიზიტის პერიოდში დაფიქსირდა შემდეგი უზუსტობები:

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 სკოლის სასწავლო გეგმაში მოცემულ სასკოლო საათობრივ ბადეში მოცემული იყო, რომ არჩევითი საგანი „ფოლკლორი და მითოლოგია“ ისწავლებოდა X და XI კლასებში ე. ი. ოთხი სემესტრის განმავლობაში, რაც ეწინააღმდეგება ეროვნული სასწავლო გეგმის 46-ე მუხლის მე-10 პუნქტს, რომლის მიხედვითაც აღნიშნული საგანი არის ერთ მოდულიანი და ორ სემესტრიანი.

აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სასკოლო სასწავლო გეგმა გაწერილი იყო 2014-2015 სასწავლო წელზე და შესაბამისად მოდულების გაწერა ოთხი სემესტრის განმავლობაში არ იქნებოდა შესაძლებელი და აღნიშნული განმარტა, როგორც ტექნიკური უზუსტობა.

1.2 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას (მთლიანად გატმოტნილია იქედან). შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, თუმცა როგორ ხდება მისი გაცნობა სასკოლო საზოგადოებისთვის და როგორ ხდება შედეგების გამოყენება მოსწავლეთა აკადემიური შედეგების გასაუმჯობესებლად ბუნდოვანია. სკოლის სასწავლო გეგმის მე-4 თავის 4.9 მუხლის პირველ პუნქტში წერია „სემესტრულ გამოცდას ასევე დირექტორი ნიშნავს XI, XII კლასებში. მე-11 და მე-12 კლასებში, დეკემბრის 3-4 კვირას სკოლა ატარებს სემესტრულ გამოცდას: მე-11 კლასში - ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, გეოგრაფიაში, ხოლო მე-12 კლასში - მათემატიკაში, ისტორიაში, ქართულ ენასა და ლიტერატურაში და უცხოურ ენებში“, რაც ეწინააღმდეგება ეროვნული სასწავლო გეგმის 23-ე მუხლის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტს.

აღნიშნულთან დაკავშირებით სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სემესტრული გამოცდები ტარდება მრავალ საჯარო თუ კერძო სკოლაში და სთხოვა ექსპერტს განემარტა, თუ რატომ ეწინააღმდეგებოდა სემესტრული გამოცდის ჩატარება ეროვნულ სასწავლო გეგმას.

დაივთ ჭეიშვილმ აღნიშნა, რომ ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად სემესტრული გამოცდა ინიშნებოდა კონკრეტულ შემთხვევებში და თუ დაწესებულებას მოსწავლეთა ცოდნის დონის შემოწმება სურდა, მაშინ მსგავსი აქტივობისათვის სხვა სახელწოდება უნდა შეერჩია.

აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სემესტრულ გამოცდასთან დაკავშირებით ჩანაწერი ფიქსირდებოდა არასწორად და უნდა ყოფილიყო რეიტუნგული წერები.

1.3 შპს „თელავის თელავის ევროპულ სკოლას“ შემუშავებული ჰქონდა კითხვარი სკოლის ადმინისტრაციის მუშაობის შეფასების შესახებ. სკოლაში დაგეგმილი იყო მოსწავლეთა თვითმმართველობის მუშაობა. შემუშავებული იყო მუშაობის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების ძირითადი პრინციპები და აღრიცხვიანობის ფორმა. მასწავლებლების, მოსწავლეების და მშობლების ჩართვა თვითშეფასების პროცესში და მასწავლებელთა პერიოდული პროფესიული მომზადების ხელშეწყობა. ყოველივე ზემოთ აღნიშნული ვერ იქნება სრულყოფილი მექანიზმი სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესებისთვის. მაგალითად გაუკვეველი იყო, ამ ჩამონათვალის მიხედვით, როგორ მოხდება საგნობრივი სტანდარტის გაუმჯობესებაზე ზრუნვა, სკოლის მისიასთან სასწავლო გეგმის შესაბამისობაში მოყვანა და ა.შ.

აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სასწავლო პროცესში მშობელთა ჩართულობის უზრუნველყოფა დამრიგებლის ფუნქციას წარმოადგენდა. საგამრიგებლო პორტფოლიოებში განთავსებული იყო დიდი მოცულობის ინფორმაცია, თუ როგორ მოახდენდა პედაგოგი ამ ყოველივეს უზრუნველყოფას. აღნიშნული ასევე გაწერილი იყო სკოლის შინაგანაწესში.

სხდომიდ თავმჯდომარემ განაცხადა, რომ დადებითი ფაქტი იყო თუ დაწესებულება ზრუნავდა მშობლების სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობის ამაღლებისკენ, რადგან სამეურვეო საბჭოს არსებობა მხოლოდ საჯარო სკოლების ვალდებულებას წარმოადგენდა.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

2.1 სკოლას ჰქონდა საბუნებისმეტყველო ლაბორატორია სველი წერტილით. ლაბორატორიისთვის შესყიდული იყო ლაბორატორიული აღჭურვილობის გარკვეული ნაწილი მარინე ჩინგირაძისგან პ/ნ 20001017683, მიკროსკოპი - ჯეინაზი შარმაზანაშვილისგან პ/ნ 08001001056, გარდა ამისა, ნიკოლოზ სულხანიშვილისგან პ/ნ 20001007737 ჩუქების ხელშეკრულებით - ნაწილი ლაბორატორიული აღჭურვილობისა. ლაბორატორიაში არ იყო ადამიანის ჩონჩხი, ასევე არ იყო ყვავილის მოდელი. სკოლის პედაგოგის - დარეჯან მარგალიტაშვილის განმარტებით, ბოტანიკა და ჩონჩხის აგებულება მოსწავლეებს საბაზო საფეხურზე აქვთ ნასწავლი, ამიტომ საშუალო საფეხურზე ეს ინვენტარი არ იყო მნიშვნელოვანი, მაგრამ ჰქონდათ მუდმივი პრეპარატების ნაკრები როგორც ზოოლოგიასა და ანატომიაში, ასევე ბოტანიკაში.

2.2 საკლასო ოთახებს ჰქონდა მცირე ზომის ფანჯრები, თუმცა ოთახების კარები იყო მინის და ასევე დერეფანი რომელიც საკლასო ოთახებს ესაზღვრება შემინულია. დაწესებულებაში 3 სველი წერტილი იყო, მათ შორის ერთი განკუთვნილია სსსმ მოსწავლეზე. სკოლაში დამონტაჟებული იყო გათბობის ცენტრალური სისტემა რომელიც ნაწილობრივ დამოკიდებულია ელექტროენერგიაზე. პირად ინტერვიუში დირექტორმა აღნიშნა, რომ თელავში ხშირად ითიშება ელექტროენერგია. სკოლას ჰქონდა ელექტროგენერატორი რომელიც 650v სიმძლავრის იყო.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, გათბობის სისტემასთან დაკავშირებით, რაზეც დაწესებულების დამფუძნებელმა განაცხადა, რომ შენობაში დამონტაჟებული იყო კონდიციონერი გათბობა-გაგრილების რეჟიმით. მან ასევე აღნიშნა, რომ ექსპერტთა ვიზიტს დაემთხვა ქალაქში ელექტროენერგიის მიწოდების შეზღუდვა, რაც დაწესებულების კომპეტენციებში არ შედიოდა.

საბჭოს წევრმა, მაია მაღლაკელიძემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურთან დაკავშირებით, რაზეც დაწესებულების



წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ორგანიზაცია ავტორიზაციის გავლის შემთხვევაში გეგმავდა მსგავსი სტრუქტურული ერთეულის შექმნას.

2.3 სკოლის შესასვლელზე დაყენებული იყო ორი კამერა, ხოლო სამი - დერეფნებში. გარე კამერების შესყიდვის დოკუმენტაციიდან, ირკვეოდა, რომ მისი პარამეტრები შეესაბამებოდა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებით მოთხოვნილ პარამეტრებს. შინაგანაწესში მოცემული იყო წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები. აღმაშენებლის ქუჩის მხარეს, ავტოპროფილაქტიკის მხრიდან შენობაში შემოსასვლელ კარებთან (რომელიც მას იჯარის ხელშეკრულების მიხედვით მას არ ეკუთვნოდა) არ ეყენა გარე კამერა. სკოლის დირექტორის განმარტებით ამ შემოსასვლელით ისინი არ სარგებლობდნენ (თუმცა რაიმე შეზღუდვაც არ ფიქსირდებოდა), მაგრამ შენობაში შიგნით კიბის თავში მაინც ეყენათ შიდა კამერა.

ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულებას გააჩნდა კერძო სამართლის იურიდიული პირის, შპს-ს სტანდარტული წესდება. აღნიშნულთან დაკავშირებით სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ექსპერტს, ჰქონდა თუ არა დაწესებულებას შინაგანაწესი ან საგანმანათლებლო საქმიანობის მომწესრიგებელი სხვა დოკუმენტი, რაზეც ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებას გააჩნდა შინაგანაწესი. ექსპერტმა ასევე რეკომენდაციის სახით დაამატა, რომ სასწავლო პროგრამებში სასურველი იყო აქტივობის - ლაბორატორიული სამუშაოს ნაცვლად მითითებული ყოფილიყო „სადემონსტრაციო ცდა“.

3. ადამიანურ რესურსთან მიმართებით:

3.1 2014 წლის 2 ოქტომბერს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ საშტატო განრიგში არ იყო ასახული ფოლკლორისა და მითოლოგიის მასწავლებლის პოზიცია. აგრეთვე, საშტატო განრიგში გაწერილი იყო ქართული სამხედრო ხელოვნების ისტორიის მასწავლებლის შტატი, თუმცა, მსგავსი სახელწოდების საგანი სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული არ იყო. დაზუსტების მიზნით გასაუბრებისა და მითითების შემდეგ, ვიზიტის მიმდინარეობისას, დაწესებულებამ წარმოადგინა დირექტორის ბრძანება, რომლის მიხედვითაც უქმდებოდა 2014 წლის 2 ოქტომბერს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული საშტატო განრიგი და მტკიცდებოდა ახალი საშტატო განრიგი, რომელიც თან ერთვოდა აღნიშნულ დოკუმენტს. წარმოდგენილ დანართში გათვალისწინებული იყო ექსპერტთა ჯგუფის მითითებები.

3.2 სპორტის, სამოქალაქო თავდაცვის, საგზაო ნიშნებისა და უსაფრთხოების პედაგოგს, თეიმურაზ ბახსოლიანს არ უდასტურდებოდა სპორტის მასწავლებლის კვალიფიკაცია. უმაღლესი განათლების დამადასტურებელი წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით, პედაგოგი ფლობდა საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებლის კვალიფიკაციას. ავტობიოგრაფიის (CV) სამუშაო გამოცდილების ბლოკში აღნიშნული იყო, რომ თეიმურაზ ბახსოლიანი „სხვადასხვა დროს იყო ისტორიის, დაწყებითი სამხედრო მომზადების და სპორტის მასწავლებელი“, თუმცა არ იყო დაზუსტებული სამუშაო ადგილი და პირად საქმეში არ იყო წარმოდგენილი აღნიშნული გამოცდილების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტაცია. თეიმურაზ ბახსოლიანს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) საგრანტო პროგრამის - „ხელმისაწვდომობის, ხარისხისა და თანასწორობის უზრუნველყოფა საქართველოს საგანმანათლებლო სისტემაში“ ფარგლებში, გავლილი ჰქონდა ტრენინგი „სპორტი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის“ და წარმოდგენილი იყო სერტიფიკატი, რაც, სპორტული მიმართულებით, პედაგოგის კომპეტენციის ამსახველ ერთადერთ საბუთს წარმოადგენდა. ვიზიტის მიმდინარეობის მეორე დღეს დაწესებულებამ წარმოადგინა სსიპ „ქალაქ თელავის №7 საჯარო სკოლის“ მიერ გაცემული და სათანადოდ დამოწმებული ცნობა, რომელიც ადასტურებდა, რომ თეიმურაზ ბახსოლიანი 2004 წლიდან დღემდე მუშაობდა სპორტის

მასწავლებლად. სკოლის საქმისმწარმოებელსა და ბიბლიოთეკარს, ეკატერინე ერგემლიძეს არ უდასტურებოდა ბიბლიოთეკარის კვალიფიკაცია. დასაქმებული ფლობდა ისტორიკოსის, ისტორიისა და სამართალმცოდნეობის მასწავლებლის კვალიფიკაციას. პირად საქმეში წარმოდგენილ ავტობიოგრაფიაში (CV) მითითებული იყო: „2004 წლიდან დღემდე მე-4 საჯარო სკოლა - ისტორიის პედაგოგი, ბიბლიოთეკის გამგე.“ აღნიშნული ჩანაწერის მიხედვით, რთული იყო ბიბლიოთეკარის გამგედ მუშაობის გამოცდილების ხანგრძლივობის ზუსტად დადგენა. ვიზიტის მიმდინარეობის მეორე დღეს დაწესებულებამ წარმოადგინა სსიპ ქალაქ თელავის №4 საჯარო სკოლის მიერ გაცემული და სათანადოდ დამოწმებული ცნობა, რომელიც ადასტურებს, რომ ეკატერინე ერგემლიძე 2005 წლიდან დღემდე მუშაობდა სკოლის ბიბლიოთეკის გამგედ და გავლილი ჰქონდა ბიბლიოთეკარის ტრენინგი.

3.3 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ და დამხმარე პერსონალთან გაფორმებული იყო შრომითი ხელშეკრულებები, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ხელშეკრულება მოიცავდა მხარეთა რეკვიზიტებსა და უფლება-მოვალეობების ნაწილს. დოკუმენტში მითითებული იყო დასაქმებულის პოზიცია და ანაზღაურების ოდენობა. პედაგოგების შემთხვევაში, ანაზღაურება განისაზღვრებოდა საათობრივად. ხელშეკრულება მოიცავდა შვებულების, წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის, ხელშეკრულების შეწყვეტის და შეჩერების საფუძვლების, დავებისა და მათი გადაწყვეტის წესის, ხელშეკრულების პირობებში ცვლილებების შესახებ მუხლებს, ასევე, ინფორმაციას ხელშეკრულების მოქმედების ვადების შესახებ. სკოლაში დასაქმებულ პერსონალთან ხელშეკრულებები 2014 წლის 2 ოქტომბრიდან 2015 წლის 1 ივლისამდეა გაფორმებული. როგორც სკოლის საქმისმწარმოების საერთო წესშია მითითებული, დაწესებულების დირექტორის მიერ დადებული ხელშეკრულებების რეგისტრაცია ხდებოდა ხელშეკრულებებისა და მემორანდუმების აღრიცხვის ჟურნალში, სათანადოდ დადგენილი წესის მიხედვით.

3.4 სკოლის ექვსწლიან სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქტივობები დალაგებული იყო განხორციელების წლების მიხედვით, თუმცა არ იყო დაკონკრეტებული შესრულების მოკლე ვადები - გეგმაში წარმოდგენილი სვეტი „შესრულების დრო“. მონიტორინგის შედეგების ამსახველ სვეტში შევსებული იყო გრაფები, რომლებიც ასახავდნენ (1) სკოლის ძირითადი დოკუმენტების შემუშავების, (2) შენობის ფლობისა და მინი სტადიონის გასაშენებელი ფართის თხოვნის შესახებ დოკუმენტაციის მომზადებისა და (3) სკოლის საგანმანათლებლო პროგრამების კომპონენტის სავტორიზაციო კრიტერიუმებთან შესაბამისობაში მოყვანის აქტივობების მიმდინარეობისა თუ შესრულების შესახებ ინფორმაციას. სხვა აქტივობების (მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოდიფიკაცია; სწავლის ხარისხის ახალი სტანდარტის დანერგვა. შეფასების რუბრიკები; სკოლის თვითშეფასების და მონიტორინგის მექანიზმების შემუშავება; საგნობრივი კათედრების ფუნქციების გაძლიერება და სამუშაო გეგმების შემუშავება და დამტკიცება; კათედრების დებულების შემუშავება და დამტკიცება; წიგნადი ფონდების შევსება; სტრატეგიული გეგმის დამტკიცება; განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთათვის ადაპტირებული გარემოს ორგანიზება; ა.შ) მიმდინარეობის ან დასრულების შესახებ ინფორმაცია გეგმაში წარმოდგენილ მონიტორინგის ბლოკში ვიზიტის დროს ასახული არ იყო. გეგმაში გაწერილ თითოეულ აქტივობაზე მითითებული იყო ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი პირები.

3.5 სკოლის შინაგანაწესის თანხლები დოკუმენტია სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი აღნიშნული დოკუმენტი დამტკიცებული იყო დირექტორის ბრძანებით და სათანადო წესით იყო დამოწმებული, თუმცა, დებულების პირველი მუხლის (ზოგადი დებულებები) პირველ პუნქტში იკითხებოდა, რომ „სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება მტკიცდება თვითმმართველობის წევრთა უბრალო უმრავლესობით“. მოსწავლეთა თვითმმართველობის ფუნქციებში გაწერილი იყო

სასკოლო კლუბების შექმნა, სხვადასხვა საგრანტო პროგრამებში მონაწილეობა, სკოლის შინაგანაწესის შესახებ წინადადებების შემუშავება, ა.შ. დებულების მიხედვით, „მოსწავლეთა თვითმმართველობის ძირითადი ამოცანაა სკოლის აქტიურ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღება“.

საბჭოს წევრი, პავლე თვალთმომხილი დაინტერესდა დაწესებულების მისიით და წარმომადგენლებს სთხოვა განმარტება რა იგულისხმებოდა ტერმინ „სწავლისადმი ევროპულ დამოკიდებულებაში“, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ტერმინში იგულისხმებოდა მოსწავლეთათვის მუდმივი სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა, ბოლონის პროცესის მოთხოვნების გათვალისწინებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში დაწესებულების სურვილი იყო განეხორციელებინა ორცვლიანი სწავლება და მიეღო 100 მოსწავლე.

ავტორიზაციის სამმართველოს უფროსმა, ლაშა მარგიშვილმა დააზუსტა, რომ დაწესებულებას ავტორიზაცია ენიჭებოდა იმ რესურსების გათვალისწინებით, რაც მას გააჩნდა, და რამდენი მოსწავლის განთავსებაც შეიძლებოდა შენობაში ერთდროულად. მან ასევე დაამატა, რომ თუ დაწესებულების მატერიალური რესურსი იძლეოდა მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის 50-ით განსაზღვრის შესაძლებლობას, ამ შემთხვევაში დაწესებულებას მოსწავლეთა რაოდენობაც ამ პრინციპით უნდა განსაზღვროდა. არსებით გარემოებას წარმოადგენდა ის, რომ დაწესებულებამ ადამიანური და მატერიალური რესურსის მეშვეობით შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა უნდა უზრუნველყოს საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ კანონმდებლობაში არ იყო აკრძალვა იმის შესახებ, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეეძლო სწავლება განეხორციელებინა ორ ცვლაში. მან ასევე დაამატა, რომ ბევრ საჯარო სკოლაში მიმდინარეობდა ორცვლიანი სწავლება და შესაბამისად, კერძო სექტორსაც უნდა მისცემოდა აღნიშნულის განხორციელების საშუალება.

საბჭოს წევრმა, მანანა რატიანმა აღნიშნა, რომ საბჭოს არ უნდა გადაეჭარბებინა საკუთარი უფლებამოსილებისათვის.

საბჭოს წევრმა მაია მალაქელიძემ აღნიშნა, რომ კარგი იქნებოდა საბჭოს ემსჯელა მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის ერთი ცვლისთვის 40-ით განსაზღვრის შესახებ. აღნიშნული მოსაზრება გაიზიარეს საბჭოს სხვა წევრებმაც. სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაწესებულებას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრებოდა 80-ით იმ დათქმით, რომ ერთ ცვლაში მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა არ გადაეჭარბებდა 40-ს.

საბჭოზე გამოცხადდა შესვენება 20:30 საათზე.

საბჭო განახლდა 20:40 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თელავის ევროპული სკოლისათვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის 80-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 4

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირა - მანანა რატიანმა.

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს თელავის ევროპულ სკოლას (ს/კ:431171509) 5 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 80-ით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა 21:30 საათზე.

თავმჯდომარე
რევაზ აფხაზავა



მდივანი
მაია მალაკელიძე

